სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 6-36

გორი 28 05 2020წ.

„სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე **აკადემიურმა საბჭომ**

დაადგინა:

1. „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-64 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა" ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

2. კანცელარიის უფროსმა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი ჯაბერი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდეგში - უნივერსიტეტი) მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებსა და შეფასების სისტემას. მისი მიზანია უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების შესრულების მიზნით მართვის ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტის საქმიანობის წარმატება იზომება მისი მიღწევებით აქტივობათა იმ ძირითად სფეროებში, რომელიც სრულად მოიცავს დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს. ფართო კონტექსტში, უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობები წარმოადგენს.

დაინტერესებული მხარეებისა, და უფრო ფართო კონტექსტში, საზოგადოების მოლოდინები, საზოგადოდ, სწორედ უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული, რომელიც, თავის მხრივ, ორ სფეროს - საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას მოიცავს.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა კვალიფიკაციის მიმნიჭებელი (აკადემიური და პროფესიული) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან ერთად გულისხმობს საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებს.

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური საქმიანობა უნივერსიტეტის ძირითად აქტივობას წარმოადგენს, ამ მიმართულებით წარმატების მიღწევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უნივერსიტეტში ადმინისტრაციული საქმიანობის ხარისხზე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობა მოიცავს შემდეგ ძირითად სფეროებს - ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვას.

უნივერსიტეტის პერსონალი, მათი კვალიფიკაცია, გამოცდილება, მოტივაცია, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და დაწესებულებაში არსებული პრაქტიკა მნიშვნელოვნად განაპირობებს უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობას.

უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტიან მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაწესებულების მიზნების მისაღწევად. იგი მოიცავს მატერიალური ბაზის გაძლიერებას, ფინანსური რესურსების მოპოვებას, დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას და, აგრეთვე, არსებული ფინანსური რესურსების კონტროლისა და, სტრატეგიული მიზნებით განსაზღვრული ამოცანების გადასაჭრელად, ამ რესურსების გამოყენების მეთოდებს.

უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს ზემოაღნიშნულ ხუთ ძირითად სფეროში უნივერსიტეტის მმართველობითი საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას. ამ მიზნით უნივერსიტეტი საქმიანობის თითოეულ სფეროში განსაზღვრული ძირითადი აქტივობებისათვის ადგენს სამიზნე ნიშნულებს და შეიმუშავებს სათანადო შეფასების ინდიკატორებს. უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საჭირო სამუშაო ჩარჩოს კომპონენტების სისტემური ინტეგრაცია წარმოდგენილია ქვედა სურათზე.



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შემდეგი სქემის შესაბამისად:

- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის პროცესის კოორდინაციას და შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭო.
- მართვის ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება ყოველი მეორე სასწავლო წლის დასრულებისას ბოლო ორი სასწავლო წლის მონაცემების საფუძველზე.
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები ყოველი სასწავლო წლის დასრულებისას უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭოს წარუდგენს სათანადო ინფორმაციას და მონაცემებს ცხრილი 1-ის შესაბამისად.
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭო წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემების, მათ შორის, სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე ბოლო ორი წლის ანგარიშის ანალიზის საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სამიზნე ნიშნულებისა და შეფასების ინდიკატორების გამოყენებით (ცხრილი 1), ახორციელებს უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის შეფასებას.
- მართვის ეფექტიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით და რეაგირებისათვის წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
- სტრატეგიული განვითარების საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი, მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ახორციელებს შესაბამისი პროცესების ინიცირებას.

საქმიანობის სფერო	**შეფასების ინდიკატორი**	**სამიზნე ნიშნული**	**შენიშვნა**
საგანმანათლებლო საქმი	ბაკალავრიატში მიღებული სტუდენტების რაოდენობის შეფარდება გამოცხადებულ რაოდენობასთან		

	მაგისტრატურაში მიღებული სტუდენტების რაოდენობის შეფარდება გამოცხადებულ რაოდენობასთან		
	სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობათა შეფარდება		
	ბაკალავრიატის სტუდენტთა შენარჩუნების მაჩვენებელი (სწავლების პირველი წლიდან სწავლების მეორე წლამდე პერიოდში)		
	შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა ფარდობითი მაჩვენებელი		
	სასწავლო პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი		
	სწავლების ეფექტიანობა ბაკალავრიატის საფეხურზე (საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის შეფარდება მოცემული საფეხურის დასამთავრებლად საჭირო საშუალო დროსთან)		
	სწავლების ეფექტიანობა მაგისტრატურის საფეხურზე (საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის შეფარდება მოცემული საფეხურის დასამთავრებლად საჭირო საშუალო დროსთან)		
	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი საბაკალავრო საფეხურზე		
	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი სამაგისტრო საფეხურზე		
	კურსდამთავრებულ ბაკალავრთა კმაყოფილების მაჩვენებელი		
	კურსდამთავრებულ მაგისტრანტთა კმაყოფილების მაჩვენებელი		
	ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი		
	მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი		
	საჯარო ლექციები, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვა მასმედიის საშუალებებით		
	ზამთრის და საზაფხულო სკოლების ორგანიზება		
	საექსპერტო საქმიანობა		
	განხორციელებული სასერტიფიკატო პროგრამები		
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	აკადემიური პერსონალის დაფინანსებული სამეცნიერო კვლევების მოცულობა		საათებში
	უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რაოდენობა		
	გარე წყაროებიდან დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რაოდენობა		
	საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში (ISI) გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა		

	ეროვნულ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა		
	საერთაშორისო კონფერენციების მასალებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა		
	ეროვნული კონფერენციების მასალებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა		
	სამეცნიერო მონოგრაფიების რაოდენობა		
	სხვა აკადემიური ნამუშევრების რაოდენობა		
	დაცული სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა		
	სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო/სამეცნიერო საბჭოების წევრობა		
ადამიანური რესურსების მართვა	აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფარდება		
	აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში აფილირებული აკადემიური პერსონალის პროცენტული რაოდენობა		
	სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა		
	სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის შეფარდება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან		
	პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი		
	აკადემიური პერსონალის საშუალო ასაკი		
	გენდერული ბალანსი აკადემიური პერსონალისათვის (მდედრ./მამრ.)		
	პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებათა წლიური დაფინანსება		
	პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი		
ფინანსური რესურსების მართვა	სწავლის გადასახადებითა და სხვა მომსახურებებით მიღებული დაფინანსება		
	სამეცნიერო კვლევებით მოპოვებული დაფინანსება		
	პროფიციტი/დეფიციტი პროცენტებში შემოსავლიდან		
	მომსახურების სრული დანახარჯი ერთ სტუდენტზე		
	სამეცნიერო კვლევების დაფინანსება		
	დანახარჯი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე		
	დანახარჯი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განახლებაზე		
	დანახარჯი საბიბლიოთეკო რესურსების განახლებაზე		
მატერიალური რესურსების მართვა	სტუდენტების მიერ ინფრასტრუქტურის შეფასების მაჩვენებელი		
	საბიბლიოთეკო მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი		
	საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებით სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი		

	სანიტარული კვანძებით სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი		
	პერსონალის მიერ ინფრასტრუქტურის შეფასების მაჩვენებელი		
	საბიბლიოთეკო მომსახურებით პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი		
	საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებით პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი		
	სანიტარული კვანძებით პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი		

ცხრილი 1